ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2112 სამშაბათი, 1 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2112

ხელის-მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, სამს აპრილს, დილის 10 საათზე, დაბა ახალ-სენაკში გადახდილ იქმნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ტფილისის საქალებო ინსტიტუტში სწავლა დამთავრებულის და უდროოდ გარდაცვალებულის

მარიამ ივანე ბარისოვი-ბერიძის

ასულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი სტატსკი სოვეტნიკისა **ელისაბედ გიორგის ასული ბარისოვი-ბერიძისა** შვილებითურთ. (1—1)

ვაიღება მამადავითის გორაზე პირველ აპრილიდან

ბაღი-რესტორანი
«განდეგილი»

იქნება საუცხოვოდ მოწყობილი სამზარეულო, მომზადდება ევროპიული და აზიური საჭმლები.

მიიღება „ზაკაზი“ დიდი სადილის გასამართავად. ფაიტონით მომსვლელთ შეუძლიანთ მობრძანდნენ კოჯორის და აგრეთვე ოქროყანის გზებით.

პატივისცემით რესტორანის პატრონი ტარასი ივანეს ძე ფანჯანაძე

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ბედიანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ექიმები:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ბ. ჯადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.-ოთხშ. და შაბათ $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. ბედიანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და საშვილოსნოს: კვირაობით 10—12.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

მრ. მ. სოზოლევსკი—ხირურგი და ორტოპედი: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

ბ. ბ. ჯადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ქალების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი მ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

ექიმ-დანტისტი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

გ ო კ ი ე ლ ი

გადავიდა მიხაილოვის ჩუჩაზე № 31, სასტუმრო „ავრორა“-ს გვერდით. მიიღებს 9—12 ს. და 6—8 ს. საღამოს, ვენერიულის, სიფილისისა, ტყავისა და შიგნეულობით ავადმყოფთა. (2—2)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

საზღვარ-გარედ

—

ბალკანეთი. „მაკედონიიდან, ძველ სერბიიდან და ალბანიიდან მეტად ცუდი ამბები მოდის და თან და თან ჰქრება იმედი, რომ ბალკანეთის ეხლანდელი კრიზისი მშვიდობიანად გათავდეს. თვით უკიდურესი პესიმისტნიც, რომელნიც ყველაფერს შავ-ბნელად უცქერიან, არ დაიჯერებდნენ ამ რამდენიმე თვის წინად, რომ ქარიშხალი ასე მალე და ასეთის ძლიერებით ამოვარდებოდა ბალკანეთში. ერთი კვირის განმავლობაში ბალკანეთის სურათი სრულებით შეიცვალა: იქ, სადაც რევოლიუციონერები მხოლოდ სამზადისის საქმეში იყვნენ გართულნი, დღეს ანგრევენ რკინის გზის ხიდებს და ტელეგრაფს და ელეტენ ყველას, ვინც კი მათი წინააღმდეგია, იმის განურჩევლად—ოსმალია მსხვერპლი თუ მაკედონელი; იქ, სადაც ალბანელები აქა-იქ ვისმე ჰკლავდნენ ან ძარცვავდნენ, დღეს რამდენიმე ათასობით გამოდიან და ქალაქებსა და სოფლებს თავს ესხმიან. ოსმალეთის ჯარები, რომელნიც მაკედონიის სამ ვილაიეტში იყვნენ დაბანაკებული, ვეღარ ასდიან მთავრობის ბრძანებათა ასრულებას; ამიტომაც მცირე აზიიდან მოჰყავთ ახალ-ახალი ჯარები, მათ შორის ქურთებიც, ყოველგვარ საშინელების მომასწავებელნი ახლო აღმოსავლეთისათვის. მარტო იმ ამბავმა, რომ მცირე აზიიდან ახალი ჯარები მოჰყავთო, მეტად გააძლიერა ხალხის მღელვარება ბოლგარიასა და სერბიაში; ხმა დადის,ვითომც პორტას განზრახვა ჰქონდეს დროებით აღმოსავლეთი რუმელია (ბოლგარიის ნაწილია) დაიკავოს. განა საჭიროა იმის განმარტება, რომ, თუ ეს ხმა გამართლდა, ვერც დანევის სამინისტრო და ვერც რომელიმე სხვა მთავრობა ვერას გააწყობს ხალხის მღელვარებასთან და აუცილებლად ომი ასტყდება ოსმალეთსა და ბოლგარიის სამთავროს შუა.

ზემოდ-ნათქვამში გადაჭარბებული და გაზვიადებული არა არის-რა: იგი მხოლოდ აღნუსხვაა იმ ფაქტებისა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მოხდა და ამ ფაქტებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება. ოსმალეთს კარგი, მაღალ სამხედრო ღირსების ჯარი ჰყავს და თუ მას თავისუფალ მოქმედების ნება ექმნა, მაკედონიაში დამყარდება ისეთი მშვიდობიანობა, როგორიც სასაფლაოებზე არის ხოლმე; პატარა ბოლგარია ამას ხელს ვერ შეუშლის“...

ჩვენმა მკითხველმა უნდა იცოდეს, თუ რა აზრის არის მაკედონელთა „დამშვიდების“ შესახებ რუსეთის წარმომადგენელი ოსმალეთის ტახტის წინაშე ბ. ზინოვიევი: პორტას უფლება აქვს სასტიკად დასაჯოს რევოლიუციონერები, რომელნიც მშვიდობიანობას არღვევენ და ხელს უშლიან მთავრობას განზრახული რეფორმა განახორციელოს; რუსეთის დიპლომატია არ დაუწყებს ქომაგობას აჯანყებულებსო.

ავსტრო-ჰუნგრეთი პირობით არის რუსეთთან შეკრული და ამიტომ მისი პოლიტიკაც ისეთივე იქნება, როგორიც რუსეთისა.

გერმანიის იმპერიის მთავრობა დიდი მეგობარია ოსმალეთისა და გულში პატარა ცვლილებაც კი არა სურს, რომელიც ავსტრო-რუსეთის დიპლომატიამ მოსთხოვა პორტას.

იტალიის დიპლომატია მხოლოდ იმაზე ჰფიქრობს და ზრუნავს, რომ ავსტრიამ ახალი ადგილები არ შეიძინოს ბალკანეთზე.

დარჩა საფრანგეთი და ინგლისი. ეს ორი სახელმწიფოა, რომ შეუძლიანთ საქმეში ენერგიულად ჩაერიონ და მოსალოდნელი საშინელი უბედურება თავიდანააცილონ ისედაც მრავალტანჯულ მაკედონიას.

მართალია, საფრანგეთი რუსეთის მოკავშირეა, მაგრამ, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ახლო აღმოსავლეთი ის საერთაშორისო ასპარეზია, სადაც მოკავშირეთა ინტერესი სულ სხვა-და სხვაა. საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობა უფრო დამოუკიდებელ და გაბედულ პოლიტიკას მისდევს. საფრანგეთის პარლამენტის უმრავლესობას საზოგადოების მოწინავე კეთილ-შობილი ელემენტები შეადგენენ; საზოგადოებისა და მთავრობის აზრის გამომხატველი პრესა იმ თავითვე სულ სხვა გვარად შეეხო მაკედონიის საქმეს, ავსტრო-რუსეთის მიერ განზრახულ რეფორმის პროექტს. ამიტომაც არის, რომ მაკედონელებსა და ბოლგარებს იმედი აქვთ საფრანგეთისა და ეს იმედი არც თუ სრულებით უნიადაგოა.

ფელეტონი

—

მიწის სიმცირე ჩვენს გლეხობაში და საგლეხო ბანკის საჭიროება

სასოფლო მეურნეობაში მიწა არის უმთავრესი სახსარი წარმოებისა. ამიტომ გლეხობისთვის, ვითარცა მიწათ-მომქმედ კლასისთვის, მიწა შეადგენს მთავარ წყაროს არსებობისას. მიწის ნაყოფით გლეხმა უნდა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი,—უნდა ირჩინოს თავი, გადაიხადოს სახელმწიფო თუ საზოგადო გადასახადი და აწარმოვოს თავისი მეურნეობა. და ყველა ამის შესრულება იმას შეუძლიან მაშინ, როცა მიწა საკმარისი აქვს, როცა მიწის მოსავალი ბუდის ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

აქვს-კი ჩვენში გლეხობას საკმარისი მიწა? ამაზე გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ: არა! სტატისტიკური ცნობები მიწათ-ფლობელობის შესახებ გვარწმუნებს, რომ გლეხობა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ძალიან შევიწროვებულია მიწის სიმცირის გამო. საშუალო რიცხვით თითო კომლ გლეხზე ქუთაისის გუბერნიაში მოდის ორ დესეტინა ნახევარი ვარგებული მიწა, ხოლო ტფილისისაში 8 დესეტინა. განსაკუთრებით უჭირს ცხოვრება მიწის სიმცირის მიზეზით ქუთაისის გუბერნიის გლეხობას. არ მოიპოვება მთელ კავკასიაში და რუსეთშიაც არც ერთი ისეთი გუბერნია, საცა გლეხობას ისე ცოტა მიწა ჰქონდეს, როგორც ქუთაისისაში. $2^1/_2$ დესეტინა მიწა კომლზე ისე ცოტაა, რომ ყოვლად შეუძლებელია იმის საშუალებით გლეხმა იცხოვროს და მეურნეობა რიგიანად წაიყვანოს. ეს კი არა, ის 8 დესეტინაც, რომელიც მოდის ორთა შუა რიცხვით თითოეულ კომლ გლეხზე ტფილისის გუბერნიაში, ვერ ჩაითვლება საკმარისად. იქ, საცა მეურნეობა ექსტენსიურია, როგორც ჩვენში, თითოეულ კომლზე 15 დესეტინაზე ნაკლები მიწა საკმარისად ვერ ჩაითვლება. გარდა ამისა აქ აღნუსხული ციფრი ორთა შუა რიცხვს წარმოადგენს. როცა ვამბობთ, ტფილისის გუბერნიაში კომლზე 8 დესეტინა მოდისო, ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ნამდვილად ყოველ კომლს 8 დესეტინა მიწა აქვს: არა,—ზოგს მართლა ამდენი აქვს, ზოგს ამაზე მეტი, ზოგსაც ბევრად ნაკლები. ასე რომ შეიძლება თითოეულ კომლზე საშუალო რიცხვით მიწის საკმაო რაოდენობაც მოდიოდეს, მაგრამ ნამდვილად უმიწა-წყლონი ან მცირე მიწის პატრონნი მაინც ბლომად მოიპოვებოდნენ.

წარსულ ზაფხულს მე დავიარე გორის მაზრა, საცა ვაგროვებდი სტატისტიკურ მასალებს სასოფლო მეურნეობის შესახებ, და საკუთარის თვალით დავრწმუნდი, თუ რა დიდი სივიწროვეა იქ მიწისა გლეხობაში. ამაში მკითხველიც ადვილად დარწმუნდება შემდეგი ცხრილის გადათვალიერებით:

ჩემ მიერ აღწერილ გლეხებში აქვთ ყოველგვარი მიწა ($^0/_0{}^0/_0$-ებად):

გლეხთა კატეგორიები.	1 დესეტინ.	1—2 დესეტ.	2—3 დესეტ.	3—5 დესეტ.	5 დეს. მეტ.	სულ კომლი.
სახაზინო გლეხები . .	34.72	26.37	18.54	12.53	7.84	100%
დროებით ვალდებულნი.	35.81	24.27	16.18	12.47	11.27	100%
ხიზნები. .	9.09	19.48	19.48	29.87	22.08	100%
მესაკუთრე გლეხები . .	64.19	14.36	9.93	7.09	4.43	100%
სულ. .	43.42	21.37	14.85	11.53	8.83	100%

ამ ცხრილიდანა სჩანს, რომ გორის მაზრაში გლეხობის დიდძალ უმრავლესობას—**79,64 %-ს**—ჰქონია 3 დესეტინამდე მიწა, ხოლო **3** დესეტინაზე მეტის მქონებელი მთელი გლეხობის ერთი მეხუთედი ანუ **20,36%** ყოფილა. ცხადია, ასე მცირე მიწით ცხოვრება გლეხს არ შეუძლიან.

სხვა რა საშუალება აქვს გლეხს, რომ, მიწის ნაკლებობის მიუხედავად, თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, საკუთარი მიწის სიმცირე სხვა რამე წყაროთი გაასწოროს? ასეთ შემთხვევაში იგი იძულებული ხდება: ა) დრო გამოშვებით სოფლის მეურნეობას განშორდეს და ქალაქის მრეწველობაში მუშაობით შეივსოს შემოსავლის ის დანაკლისი, რომელსაც ვერ უვსებს საკუთარი მეურნეობა, ან, ბ) თუ სოფელშივე დარჩა, მუშად დაუდგეს შეძლებულ მეურნეს და დღიურ ქირაზე იმუშაოს, ან, გ) სახლო მრეწველობის გაძლიერებას მიჰყოს ხელი და შინ ნაკეთებ სამრეწველო ნაწარმოებთა მოხმარებით თუ გაყიდვით შეივსოს მიწის დანაკლისი, ან და, დასასრულ, დ) იჯარით აიღოს მიწა მემამულეებისგან და საიჯარო ქირა იხადოს.

მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილ საშუალებათა პრაქტიკულად გამოყენება-განხორციელება დამოკიდებულია განსაზღვრულ ეკონომიურ პირობებისაგან, საზოგადოების ეკონომიურ-კულტურულ განვითარებისაგან. თუ ქალაქებში მრეწველობა გაზრდილ-განვითარებული არაა, იქ ნაკლები მიწა-წყლის მქონებელ გლეხობას არ შეუძლიან სამუშაოს შოვნა; თუ სასოფლო მეურნეობაში წარმოება პრიმიტიულია, კაპიტალი შესული არაა, იქ მოქირავე მუშისთვისაც ნაკლები სამუშაო იქნება, ამიტომ უმამულო გლეხობაც ვერ შესძლებს იქ დღიურ ქირაზე მუშაობით იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც წარმოსდგება მისთვის მიწის სიმცირისაგან; თუ ხალხში უკვე გავრცელებულია საფაბრიკო ნაწარმოებები, თუ მომხმარებელთა მოთხოვნილება და გემოვნებაც ასეთ ნაწარმოებთ შესთვისებია და შესჩვევია, თუ დასამუშავებელი მასალა ოჯახში დასამზადებელ სამრეწველო ნაწარმოებთათვის ხშირად მწარმოებელს აღარ მოეპოვება, თუ ძველებური სამრეწველო ტეხნიკა და ცოდნა ხალხში არ განვითარებულა, არამედ კიდეც დავიწყებულა, იმ შემთხვევაში ოჯახური მრეწველობაც ვერ გაუადვილებს მცირე მიწის მქონებელ

ინგლისი ძალაუნებურად შეურიგდა, ისიც დროებით, ავსტრო-რუსეთის პოლიტიკას, თან დამოუკიდებელ მოქმედების უფლებაც დაიტოვა. ვინც იცის ინგლისის პოლიტიკა სომხების საშინელ გაჟლეტის დროს, იგი უნიადაგოდ არ ჩასთვლის იმ აზრს, რომ კრიტიკულ მომენტის დროს, დიდი ბრიტანია უმწეოდ არ დასტოვებს მაკედონელებს.

თუ ინგლისი და საფრანგეთი ამ სასურველ პოლიტიკურ გზას დაადგება, დანარჩენი სახელმწიფოები იძულებული გახდებიან დასტოვონ ეხლა მიღებული პოლიტიკა და მათ გაჰყვნენ.

ინგლისი. „დეილი ქრონიკლ"-ის დუბლინელ კორესპონდენტს შეუტყვია სარწმუნო წყაროდან, რომ გათავდება თუ არა ეხლანდელი სესია, პარლამენტს დაითხოვენ და შემოდგომაზე ახალი საპარლამენტო არჩევნები მოხდება. ეხლანდელ მთავრობას განზრახვა აქვს თავის პროგრამაში შეიტანოს ირლანდიის ადგილობრივ თვით-მართველობის ვრცელი და დიდი რეფორმა: იმპერიის მთავრობას უნდა დარჩეს მხოლოდ დამოენისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმე; ირლანდიის სხვა შინაურ საქმეების გამგე იქნება საკანონმდებლო საბჭო, სადაც ირლანდიის არჩეული წარმომადგენლები იქნებიან წევრებად. ეს საბჭო, რასაკვირველია, დუბლინში იქნება. გაზეთის სიტყვით, ჩემბერლენია თურმე სხვაზე უფრო მონდომებული, რომ ეს რეფორმა განხორციელდეს. არც ბალფური და არც ბროდრიკი არ უნდა იქნენ მომავალ სამინისტროში.

ამავე საქმის შესახებ „დეილი ნიუს"-ი სწერს: „ამბობენ, რომ უინდჰემის აგრარულ ბილს მოჰყვება პროექტი ირლანდიის მართვა-გამგეობისა, რომელშიაც არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს დუბლინის სასახლემ (აქ ცხოვრობს ირლანდიის მეფის მოადგილე). შესაძლებელია, რომ ეს ხმა მართალი იყოს. ყოველ შემთხვევაში ირლანდიაში ეროვნული მთავრობა უნდა იქნეს. შეუძლებელია კიდევ დარჩეს დუბლინის სასახლე, რომელიც შეურაცხყოფს ირლანდიელების გრძნობასა და სურვილებს, ისე როგორც შეუძლებელი იყო ლენდ-ლორდისმის დატოვება. დუბლინის სასახლე ისეთი მთავრობაა, რომლის მდგომარეობა ლენდ-ლორდების მოურავის მდგომარეობას უდრიდა. ეხლა (რაკი ლენდ-ლორდისმი უნდა მოისპოს) უმთავრესი ფუნქცია დუბლინის სასახლისა სრულებით მეტია".

ახალი ამბავი

◆ ამ აპრილის შუა რიცხვებში მიწა-ადგილებისა და სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი შეუდგება განსაკუთრებულ ინსტრუქციის განხილვას. ამ ინსტრუქციით უნდა იხელმძღვანელონ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო **გლეხთა ყოფა-მდგომარეობის მოწყობის** დროს. ინსტრუქცია შეიმუშავა ტფილისში კომისიამ მეურნეობას მინისტრის რწმუნებულის მედვედევის თავმჯდომარეობით. შემდეგ ეს ინსტრუქცია ადგილობრივმა მთავრობამ განიხილა და თავის აზრითურთ სამინისტროს წარუდგინა. მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით განსაკუთრებული დასები **ჯერ** ისევ ამ **ორის** წლის წინად შეუდგნენ პირველ მუშაობას გლეხთა მდგომარეობის მოწყობისათვის. მუშაობა დაიწყეს ალექსანდროპოლისა და ბორჩალოს მაზრებში, მაგრამ ინსტრუქციის უქონლობის გამო საქმე სისტემატიურად ვერ მიმდინარეობდა და თვით მომუშავენიც უფრო მასალის შეკრებას უნდებოდნენ. ამას გარდა ადგილობრივი ადმინისტრაცია თანახმა არ იყო, რომ მუშაობა ამიერ-კავკასიაში ყველგან დაწყებულიყო, რადგან ყველგან არ არიან მომრიგებელნი შუამავალნი, რომელთაც სახელმწიფო გლეხთა მოწყობის დროს ამ უკანასკნელთა ინტერესები უნდა დაიცვან. რადგან მთავრობამ დაამტკიცა პროექტი მომრიგებელ შუამავალთა რიცხვის გამრავლების შესახებ, ეს ერთი დაბრკოლება თავიდან აცილებულ იქმნა. ამ რიგად, ზემოხსენებულ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, გლეხთა მოწყობის საქმეს აღარაფერი შეაფერხებს. ინსტრუქცია, როგორცა ვსთქვით, აპრილის შუა რიცხვებში უნდა განიხილონ, რისთვისაც ტფილისიდან დაბარებულია რწმუნებული მედვედევი. ბ-ნ მედვედევი პეტერბურგს 9 აპრილს წავა.

◆ კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკვე გაუგზავნა უმაღლესად დამტკიცებულ კომიტეტს მოხსენება ამიერ-კავკასიის **სკოლებში ადგილობრივ** ენების შემოღების შესახებ, აგრეთვე შუამდგომლობანი პოლიტეხნიკუმის დაარსებისა და ერობის შემოღების შესახებ.

◆ გუბერნატორმა ოფიციალურად აცნობა ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი დამტკიცებულ იქმნა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე. ქალაქის ახალი მოურავი ამ დღეებში მიიღებს ფიცს და შეუდგება თანამდებობის ასრულებას.

◆ 30 მარტს ტფილისს ეწვივნენ **გერმანელი ტურისტები**. სულ ტფილისში 120 კაცი ჩამოვიდა. ყველანი გერმანიის უმაღლესს საზოგადოებას ეკუთვნიან. მოგზაურთ, რიცხვით 180 კაცს, ჰამბურგში დაუქირავებიათ ერთი დიდი გემი—„პრინცესსა ვიქტორია—ლუიზა". ამ გემით **ჯერ** ნიუ-იორკში წასულან, შემდეგ კუნძულ მადერზე, იქიდან გენუას, პალერმოს, კონსტანტინეპოლს და ბოლოს ბათუმში მოვიდნენ. ბათუმიდან ტფილისში ხმოლოდ 120 კაცი ჩამოვიდა. გემი, რომლითაც მოგზაურობენ, სამაგალითოდ არის თურმე მოწყობილი. ტფილისში ჩამოსულნი ჩამოჰხტნენ „ორიანტი"-ს, „ლონდონი"-ს და „ვეტცელი"-ს სასტუმროებში. გუშინ და გუშინ-წინ მთელი ქალაქი მოიარეს და დაათვალიერეს. მგზავრებს შორის არიან: გრაფინია ეინშტეინ, ბარონესსა პუტაიც, ბარონ ჰევალდ, დოქტორ კუნცენ, ფრაიგერ ფონ-იუნხ და სხვანი. ხვალ ტურისტები ბათუმს დაბრუნდებიან და იქიდან ყირიმს წავლენ.

◆ „ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა ამ ჟამად ჰბეჭდავს **შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს"**. წიგნს დართული ექნება სრული ლექსიკონი და ისტორიული ცნობები; წიგნი დასურათებული იქნება. წიგნი ჩვეულებრივის ფორმატისა იქნება და ეღირება ორ აბაზამდე.

◆ ტფილისის ნოქართა ურთ-ერთ დამხმარებელმა საზოგადოებამ გადასწყვიტა გამართოს ტფილისში საღამოობით **სავაჭრო კურსები**. ამ კურსებზე ნოქრებს შეღავათიანის პირობებით მიიღებენ.

◆ კვირას, 30 მარტს, ტფილისის საბჭოს ხმოსანთ კერძო კრება ჰქონდათ მომავალ **საჭიდრაგლდიკო სადგურის** თაობაზე მოსალაპარაკებლად. კრებამ განიხილა მთელი მასალა ამ საქმისა: მოხსენებანი, სხვათა შორის ენფიანჯიანცისა, უსახელო საზოგადოების პირობა და სხვა და ბოლოს დაადგინა დაიბეჭდოს ენფიანჯიანცის მოხსენება და დაურიგდეს გასაცნობად ხმოსნებს.

◆ ხვალ, 2 აპრილს, საბჭოს ხმოსანთა ერთ **ჯგუფს** კერძო კრება ექმნება. კრებამ უნდა განიხილოს ინჟ. ფლორინსკის მოხსენება **საჭიდრაგლდიკო სადგურის** გამართვის შესახებ. ფლორინსკის თავის მოხსენებაში დაწვრილებით გამორკვეული აქვს თურმე, რა სარგებლობა ექმნება ქალაქს სადგურისაგან ან რა პირობით უნდა მიეცეს ამ სადგურის გამართვის ნება უსახელო საზოგადოებას.

◆ როგორც გავიგეთ, **ფოსტათა და ტელეგრაფთა** მთავარ გამგეობას განკარგულება მოუხდენია. უფროსებმა მოხელეთა წარჩინების დროს ყურადღება მიაქციონ იმათ სამსახურის ხანგრძლივობას. ზოგი მოხელე ერთსა და იმავე თანამდებობაზე ხშირად 10, 20 და 30 წელიწადია თურმე.

◆ გუშინ, 31 მარტს, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ტფილისის **ელექტრონით განსანათებლად** შემუშავებული პროექტი განსახილველად წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროსა.

◆ როგორც გავიგეთ, მომავალ ივნისიდან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობებში **ახალი შტატები** იქმნება შემოღებული.

◆ **ნავთიან ადგილების** გამოსაკვლევად საგეოლოგო კომიტეტი ამ ზაფხულს კავკასიაში ჰგზავნის გეოლოგებს სოკოლოვსა და მიხაილოვსკის, სამთო ინჟენერებს კოლუბიატნიკოვსა და კალიცკის.

◆ საქართველოს ექსარხოსს შუამდგომლობა აღუძრავს გზათა სამინისტროს წინაშე. ექსარხოსი თხოულობს ტფილისის რკინის გზის სადგურთან მიწას, სადაც რკინის გზის მოსამსახურეთათვის უნდა აშენდეს **დიდი ეკკლესია**.

◆ **სააღდგომო საჩუქრები** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოსამსახურეთაც დაურიგდებათ. სულ ამისათვის გადადებულია 12,000 მანეთი. კერძოთ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეებს, რიცხვით 200 კაცს, დაურიგდებათ 1500 მანეთი.

◆ გუშინ, 31 მარტს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დაუთმოს სადგურთან 497 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა ნაცვლად იმ 650 ოთხ-კუთხ საჟენისა, რომელიც გამგეობას დაუთმია ნორიოსა და ავჭალის ქუჩებთან. ეს ადგილი გზის გამგეობას **სადგურის გასაფართოვებლად** უნდა.

გლეხს ცხოვრებას, ვერ იხსნის გაჭირვებისაგან, ვერ შეუვსებს მიწის ნაკლებულობას, ვერ გაუწევს მიწის მაგიერობას.

სწორედ ასეთი ეკონომიური პირობები არსებობს დღეს ჩვენში და ამიტომაც მიწის სიმცირეს მით უფრო მწვავე შედეგი მოსდევს ჩვენი გლეხობისათვის. ჩვენი ქალაქები განუვითარებელია, მრეწველობა მცირეა და ამიტომ უმამულობით შევიწროვებული გლეხკაცობა ვერ პოულობს მრეწველობაში ვერც მუდმივ და ვერც დროებით საბინადროს. სოფელში მეურნეობის წარმოება პრიმიტიულია, კაპიტალი ნაკლებია და ამიტომ დღიურ მუშის საჭიროებაც შედარებით ცოტაა. მემამულეების მიწებს ამუშავებენ ჩვეულებრივ არა თვით პატრონები კაპიტალით—მაშინებით, პატივით და დაქირავებულ მუშებით—არამედ წვრილი, ღარიბი გლეხები. და რაც შეეხება საოჯახო მრეწველობას, იგი ჩვენში დაცემულია იმ მიზეზებისა გამო, რომლებიც ზემოდ მოვიხსენიეთ, და, მაშასადამე, გაჭირვებულ გლეხებისათვის იმას არავითარ თვალ-საჩინო დახმარების გაწევა არ შეუძლიან. დარჩა ერთად-ერთი იჯარით აღება მემამულეების მიწებისა, რითაც ჩვენმა გლეხობამ უნდა შეივსოს საკუთარი თუ სანადელო მიწის ნაკლებულობა. ეს ასეც ხდება. გლეხები იღებენ მემამულეთაგან მიწებს დასამუშავებლად, აძლევენ პატრონთ განსაზღვრულ ღალას ანუ იჯარის ქირას და დანარჩენით იკმაყოფილებენ თავის საკუთარ მოთხოვნილებათ.

მაგრამ ხალხი თან-და-თან მრავლდება, მოთხოვნილებები მას, კულტურის ზრდის გამო, უფართოვდება. ამიტომ ერთი მხრით ქუცმაცდება და პატარავდება იმ საკუთარ თუ სანადელო მიწის რაოდენობა, რომელიც თითო კომლ გლეხს აქვს, და მეორე მხრით ძლიერდება მეტი მიწის საჭიროება. და ეს კი ჰნიშნავს საიჯაროდ ასაღებ მიწებზე მოთხოვნილების გაძლიერებას. მიწის მოთხოვნილება იზრდება, ხოლო მიწის რაოდენობაკი ერთი და იგივე რჩება. ცხადია, საიჯარო ქირამაც ამ გარემოების წყალობით უნდა აიწიოს და თან-და-თან იმატოს. ეს არის არა მარტო თეორიული დასკვნა,—იგი მტკიცდება რეალურ ფაქტებითაც. სადაც უნდა გაიაროთ ჩვენ სოფლებში, ყველგან დარწმუნდებით, რომ საიჯარო ქირა დღითი-დღე მატულობს და მატულობს.

ამას წინად „Новое Время"-მ იუცხოვა ჩვენი აზრი, რომ კავკასიაში გლეხებს ნაკლები მიწა აქვთ, ვინემ შიდა რუსეთშიო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ შიდა რუსეთის საიჯარო ქირას შევადარებთ ჩვენებურს, დავრწმუნდებით, რომ იჯარის ქირა ჩვენში ბევრად დიდია რუსეთისაზე. კარიშევს აქვს დაწერილი ფრიად საყურადღებო წიგნი ამ საგანზე (Крестьянскія Внѣнадѣльныя аренды). ამ ავტორის გამოკვლევით, უუდიდესი საიჯარო ქირა ერთ დესეტინა სახნავ მიწაზე რუსეთში შეადგენს 10 მან. და 32 კ., უუმცირესი-კი—2 მან. და 16 კ. ორთა შუა რიცხვით დესეტინა სახნავი მიწის საიჯარო ქირა არის 6 მან. 30 კაპ. შევადაროთ ახლა ამას ჩვენებური ღალა და ჯერ მაგალითისათვის ავიღოთ გურია-სამეგრელო. აქ მემამულეები სამეოთხედოდ აღარ აძლევენ გლეხებს თავის მიწებს, არამედ მესამედსა და აქა-იქ მეტსაც თხოულობენ, მაგრამ ჩვენ მეოთხედი ვიანგარიშოთ. ერთ ქცევა მიწაზე საშუალო მოსავალი ჩაითვლება 60 ფუთი სიმინდი, მაშასადამე, დესეტინაზე 160 ფუთი. ამისი მეოთხედი, რომელიც მემამულეს ეძლევა, შეადგენს 40 ფუთს. თუ ფუთი სიმინდის ფასად ათ შაურს ჩავაგდებთ, გამოვა, რომ მემამულე დესეტინა სახნავ მიწაზე იღებს 20 მანეთს იჯარის ქირად. როგორც ჰხედავთ, რუსეთსა და ჩვენში დიდი განსხვავებაა. ავიღოთ კიდევ მაგალითისათვის ქართლი. სოფ. ქვიშხეთში გლეხები აძლევენ მემამულეს დღიურ მიწაში 3 კოდს პურს ან $2^1/_2$ კოდს და ერთ მუშას ერთ დღეს. დესეტინაზე ეს შეადგენს 6 კოდს ან 5 კოდს და 2 მუშას. კოდის minimumi არის 5 ფუთი, თუმცა ხშირად ექვს ფუთსაც გადააჭარბებს: ჩანახს, რომლითაც წყავენ ღალას მემამულენი, თან-და-თან ადიდებენ. ამ სახით დესეტინაზე მოდის (5 კოდის ანგარიშით) 25 ფუთი პური და 2 მუშა. ფუთი პურის საშუალო ფასად შეიძლება ჩავაგდოთ 75 კაპ. და მუშის ქირად 50 კაპ. დესეტინაზე ყველა ეს ადგენს 19 მანეთს და 75 კ. გარდა ამისა, თუ მემამულემ მოსთხოვა, გლეხმა უნდა წაუღოს მას ღალა თავისი ხარ-ურმით უსასყიდლოდ 60 ვერსის მანძილზე. ეს კიდევ მეტი, რომელიც მისამატია გამოთვლილ იჯარის ქირაზე.—სოფ. ქარელში მემამულე იღებს დღიურ მიწაში მოსავლის მესამედს, 2 მუშას და 1 ურემ შეშას. შეშა გამოაქვს გლეხს თვითონ მემამულის ტყიდან, მისია მარტო მუშაობა, ურემი და საქონელი. წასვლას, მოჭრას და მოტანას ერთი კაცი ერთი უღელი ხარ კამეჩით მოუნდება $1^1/_2$ დღეს,—ძნელად რომ ერთ დღეს მოასწროს. დღიურის საშუალო მოსავალი შეიძლება ჩაითვალოს 40 ფუთი. ამის მესამედი 13 ფუთი ანუ 9 მან. 75. კაპ., ორი მუშა 1 მან., ერთი უღელი ხარ-კამეჩი და ერთი მუშა 2 მან., სულ 12 მან. 75 კაპ. დღიურზე, ხოლო 25 მან. 50 კაპ. დესეტინაზე.—სოფ. თილვაში მემამულე იღებს დესეტინაზე 4 კოდ პურს და 2 მან. ფულს.—სოფ. ქვემო აჩაბეთში გლეხები იხდიან ღალად მოსავლის მესამედს, ხშირად ნახევარსაც.—სოფ. აბისში დესეტინა სახნავ მიწის საიჯარო ქირა აღემატება 20 მანათს და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით საიჯარო ქირის ზრდა ჩვენში ყოველ ეჭვს გარეშეა: მეოთხედის მაგივრად ღალა ხდება მესამედი და ნახევარიც. დიდდება საწყავო ჩანახი, მრავლდება მუშების რიცხვი, რომლებსაც თხოულობს მემამულე იჯარის ქირის დასამატად, და აქა-იქ მამულის სახელმწიფო გადასახადსაც, რომელსაც გლეხები „აცენკას" ეძახიან, მემამულენი მოიჯარადრე გლეხებს ახდევინებენ.

რა იწვევს საიჯარო ქირის ასეთ მუდმივ მატებას? იქნება წარმოების ტეხნიკა გაუმჯობესდა, მიწა განაყოფიერდა ან ნაწარმოებთა ფასები გადიდდა? საზოგადოდ თუ ვიტყვით, არც ერთი მომხდარა, არც მეორე და არც მესამე. საიჯარო ქირა მატულობს იმიტომ, რომ ხალხის რიცხვი მატულობს და მისი მოთხოვნილებები მრავლობს.

გლეხ-კაცობის უმრავლესობის ბედ-იღბლის ასე საიჯარო მიწებზე დაკავშირება ნიშნავს იმას, რომ მიწათ-მომქმედთა არსებობა სრულებით არ არის უზრუნველ ყოფილი. ეს გვიჩვენებს, რომ ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას თავისი ეკონომიური მდგომარეობა გაიუმჯობესონ და წელში გაიმართონ. წარმოების ტეხნიკა დაცემულია, კაპიტალი არაა, მიწას არ უბრუნდება ის, რაც ერთმევა,—იგი იფიტება; გლეხი ვეღარ ახერხებს ამ პირობებში დიდ საიჯარო ქირის გადახდას და იმავე დროს თავისთვის საჭირო ნაწარმოებთა მოყვანას. იგი ვარდება შიმშილობაში. მიმართავს ხოლმე თავის გამოსავლებად კრედიტს და იხლართება მევახშის ქსელში. კისერზე ედება სახელმწიფო „ნედოიმკები" და მევახშის პროცენტები. იგი ვეღარ უძლებს ამათ ტვირთს, თან-და-თან უკან-უკან მიდის, ეცემა მისი მეურნეობა და თვითონ ხდება პროლეტარად, ისეთ პროლეტარად, რომელსაც გერმანელები Lumpenproletariat ს ეძახიან. ეს არის ტიპი ისეთი პროლეტარისა, რომელსაც, როგორც მუშას, ცხოვრებაში ფეხი ვერ მოუკიდია, ნიადაგი ვერ უპოვია და, ვითარცა შიმშილისაგან განადირებულ არამიანს, აღარაფრის რცხვენიან, არც ეშინიან. იგი დაცემულია ფიზიკურად, დაცემულია ზნეობრივადაც.

ფ. გოგიჩაიშვილი.

(დასასრული იქნება

◆ როგორც გვატყობინებენ, დიდ გაჭირვებაში არიან თურმე ის ებრაელნი, რომელთაც შარშან ცხინვალში სახლები გადაეწვათ. შემოწირულებანი და სხვა-და-სხვა წარმოდგენის შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ იმით თვალ-საჩინო დახმარება ვერ აღმოუჩინა დაზარალებულთ. ეს ფული უმთავრესად დაზარალებულთა გამოკვებას მოუნდა. ამ ჟამად დამხმარებელ კომიტეტს მხოლოდ 300 მანეთი-ღა აქვს. ბევრნი ჯერ ეხლაც უსახლ-კარონი არიან და აქა-იქ სოფლებში სცხოვრობენ. საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს საზოგადოებამ და მთავრობამ.

◆ მკითხველებს ეხსომებათ შუამდგომლობა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც სამინისტროს 24,160 მანეთს სთხოვდა გამოფენის დროის ვალის გასასტუმრებლად. როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, მიწათ-მოქმედების სამინისტროს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთაგან, როგორც „ნ. ობოზრ.“-ს გაუგონია, შემდგარა მუდმივი კომისია. კომისიას დაევალა გონიერ გასართობების გამართვა რკინის გზის მოსამსახურეთა და იმათ ოჯახთათვის.

◆ „გაზეთა“-ს დეპეშით ატყობინებენ: ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი დრეევიცა-კოვვაჩი დაინიშნა ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად. დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო ქუთაისის სახაზინო პალატის პირველ განყოფილების თავმჯდომარე ბელიაევი.

◆ კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, როგორც „ჩერ. ვესტ.“-ი გადმოგვცემს, სოჭის ნაწილის უფროსი პეტროვი და სოჭის საოლქო ექიმი სმირნოვი გადაყენებულ იქმნენ თანამდებობიდან.

◆ ქუთაისის გუბერნიის გადასახადთა უფროსს ინსპექტორად ჰნიშნავენ ბ-ნ სუშჩევსკის.

◆ მოგვივიდა ბ-ნ სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ოთხი წიგნაკი: 1) დათუნა გოგორიძე და რაჭის კრისთავი როსტომ, ავკისა, 2) ვეზირდი ზგუ, მისივე, 3) პატარა ხონკური— ხუთი ლექსი სხვა-და-სხვა ავტორისა და 4) აბრამის და იობის ლექსი, ნაწერილი გამომცემლისაგან. პირველი სამი წიგნაკი ღირს თითო შაური, ხოლო მეოთხე—სამი კაპეიკი.

◆ გუშინ, 31 მარტს, პეტერბურგიდან ტფილისში მოასვენეს პირველ გიმნაზიის ინსპექტორად ნამყოფის კუმსკოის გვამი. გიმნაზიაში წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ განსვენებულის გვამი დაკრძალეს კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა.

◆ როგორც გვატყობინებენ, 25 მარტს, სადამოთი, ბორჯომის შტოს მე-8 ვერსზე ქვისა და მიწის ზვავი ჩამოწვა, რის გამო გზა შეიკრა და მატარებლების მიმოსვლა შეწყდა.

◆ გუშინ, 31 მარტს, პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი ინჟ. კარმაზი.

—

შეცდომის გასწორება: „ცნ. ფურ.“ მე-2111 ნომრის „რუსეთის ქრონიკაში“ დაბეჭდილია „თერგის ოლქში 15 მარტს ხელ-ახლა მოხდა მიწისძვრაო.“ უნდა იყოს ფერგანის ოლქში.

რუსეთის ქრონიკა

◆ 25 მარტს 50 წელიწადი შესრულდა, რაც რუსთა ცნობილი მწერალი ალექსანდრე პიპინი სამეცნიერო და სალიტერატურო ასპარეზზე იღვწის. პიპინს დიდი სახელი აქვს რუსეთში. მთელ განათლებულ რუსეთს წაუკითხნია იმისი საუკეთესო თხზულებანი. პიპინი დაიბადა 1833 წელს. უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. მწერლობას პიპინმა სტუდენტობის დროსვე მიჰყო ხელი. იმ თავითვე მომავალი მეცნიერი რუსეთის ლიტერატურის გამოკვლევას შეუდგა, 1857 წელს გამოსცა საუცხოვო გამოკვლევა რუსულ ზღაპრებისა და ძველ მოთხრობების შესახებ. ამ თხზულებისათვის ავტორმა მიიღო სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი. ამავე დროს სახელმწიფო ხარჯით პიპინი საზღვარ-გარედ გაჰგზავნეს. დაბრუნებისას, 1860 წელს, იგი დანიშნულ იქმნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორად; ჩააბარეს დასავლეთ ევროპის ერთა ლიტერატურების კათედრა. 1861 წელს, როდესაც სტუდენტთა არეულობა მოხდა, პიპინმა სტასიულევიჩსა, კაველინსა და უტინთან ერთად პროფესორობას თავი გაანება. ამ დროიდან პიპინს კალამი აღარ გაუგდია ხელიდან, სწერდა, გამოჰკლევებს და ჰბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში. პირველ ხანს „ოტეჩესტვენი ზაპის.“-ში სწერდა, შემდეგ ჩერნიშევსკის „სოვრემენიკ“-ში გადავიდა. 1865 წელს დაიბეჭდა მეორე საუკეთესო თხზულება პიპინისა: „ისტორია სლავიანთა ლიტერატურებისა“. ეს თხზულება კლასიკურ ნაწარმოებად ითვლება. „სოვრემენიკ“-ის დაკეტვის შემდეგ პიპინი „ვესტნიკ. ევროპი“-ს დაუახლოვდა. მთელის 30 წლის განმავლობაში ამ ჟურნალის თითქმის არც ერთი წიგნი არ გამოსულა ისე, რომ შიგ პიპინის რომელიმე წერილი არ ყოფილიყო მოთავსებული. ამ დროს დაიბეჭდა: „რუსეთის ლიტერატურის ისტორია“, „რუსეთის ეტნოგრაფიის ისტორია“, „საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში ალექსანდრე პირველის დროს“, „ბელინსკი და იმისი ცხოვრება“ და მრავალი სხვა.

◆ 1871 წელს პიპინი სამეცნიერო აკადემიის წევრად აარჩიეს, მაგრამ იმის წევრობას წინ აღუდგა საერო განათლების მაშინდელი მინისტრი გრაფი დ. ა. ტოლსტოი და პიპინი მხოლოდ 1897 წელს ეღირსა აკადემიკოსობას. პიპინს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის წინაშე. იმისმა თხზულებებმა შესამჩნევად შეუწყო ხელი რუსეთში თვით ცნობიერების გაღვიძებას, ამიტომ დღევანდელი და მომავალი თაობა, ეჭვი არ არის, შესაფერად დააფასებს მხცოვან იუბილიარის ღვაწლს.

◆ ტაგანროგში, როგორც ადგილობრივი ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, ხარკოვის სამოსამართლო პალატის სესსიამ გაარჩია საქმე მაკეევის მღვიმე-მაღაროებში მომხდარ უწესოებათა შესახებ. პალატამ ერთი ბრალდებული გაამართლა, მეორეს გადაუწყვიტა ოთხის თვით დაპატიმრება. მესამე ბრალდებულის საქმე პალატას არ განუხილავს. ამ საქმის განხილვა შემდეგ სესსიისათვის გადაიდო.

◆ უმაღლესმა მთავრობამ ლაპარაკი აღძრა სოფლად ბეგრის მოწესრიგების შესახებ. ჰფიქრობენ, ბეგრის ნაცვლად ყველას განსაკუთრებული გადასახადი გააწერონ.

◆ დღეს დეპეშების გამგზავნმა უეჭველად უნდა მიიტანოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ბარათი და დეპეშა ისე გაჰგზავნოს. მთავრობას განუძრახავს გააადვილოს დეპეშების გზავნა საფოსტო წერილებისათვის გამართულ ყუთების შემწეობით. გაადვილებული ფორმა დეპეშების გზავნისა ჯერ-ჯერობით შემოუღიათ პეტერბურგში ამ სააღდგომო დღესასწაულებისთვის. მსურველს შეუძლიან ქაღალდზე დასწეროს დეპეშა, დააკრას ზედ იმდენი მარკა, რამდენიც საჭიროა, და ჩააგდოს წერილების ყუთში.

პრესსა

არა ერთხელა და ორჯელ აღუნიშნავთ რუსეთში, რომ წიგნებისა და გაზეთების გავრცელების საქმეს ძალიან აფერხებს დიდი საფოსტო ტარიფი. ეხლა „კნიჟ. ვესტ.“-ი სწერს,

> რომ არა ერთხელ გავრცელდა ხმა ტარიფის დაკლების შესახებ, მაგრამ არც ერთხელ ეს ხმა არ გამართლდა. საფოსტო უწყება წლითი-წლობით აუარებელ ფულს იგებს, მაგრამ გასაგზავნ ფასის დაკლებას მაინც არა ჰფიქრობს. ტყუილად ეშინიან უწყებას, რომ შემოსავალი იკლებს. პირიქით, შემოსავალი იმატებს კიდეც, რადგან მეტი მკითხველი გაჩნდება და მოთხოვნილება გადიდდება. საუკეთესო მაგალითი რკინის გზამ მოგვცა: სამგზავრო ტარიფის დაკლების შემდეგ შემოსავალმა ერთი ორად იმატა. ჩვენის აზრით, იმ საზოგადოებებმა, რომელთაც კავშირი აქვთ წიგნების გამოცემასთან, ხელ-ახლა უნდა აღძრან შუამდგომლობა გასაგზავნ ტარიფის დაკლების შესახებ.

მართლაც და ტარიფის სიდიდე ძალიან აფერხებს წიგნისა და გაზეთის გავრცელებას. იაფ-ფასიან წიგნისა და გაზეთის გამოცემა შეუძლებელია, რადგან გასაგზავნად დიდი ფულია საჭირო.

⁂

ყველამ კარგად იცის, რომ სოფლად გლეხებს უვიცობისა და უმწეობის გამო აუარებელი ფული და დრო ეკარგებათ სასამართლოებში საქმეების წარმოებაზე. ამიტომაც არის, რომ გლეხს ისე არაფერი ეჯავრება, როგორც სასამართლოსთან საქმის დაჭერა. „იურ. გაზ.“-ში გამოანგარიშებულია, უვიცობის მეოხებით რამდენსა ჰკარგავს გლეხი საქმეების წარმოებაზე.

მარტო ლოხვიცის მაზრაში გლეხობა სასამართლოებში სიარულით ჰკარგავს წელიწადში 125,718 სამუშაო დღეს, ე. ი. ფულად 62,859 მანეთს. ამას უნდა მიუმატოთ გადასახადები სასამართლოს სასარგებლოდ და ჯილდოები ვექილებსა და უთვალავ „აბლაკატებს“. თამამად შეგვიძლიან თითო გუბერნიაზე 100,000 მანეთი ჩავაგდოთ. ამ შემთხვევაში მთელის რუსეთის გლეხობა სასამართლოებსა და ვექილ-აბლაკატებზე წელიწადში ჰხარჯავს 9,800,000 მანეთს. თუ ყველა წვრილმანს ჩავაგდებთ, გლეხობა ორჯელ ამაზე მეტსაც ჰხარჯავს. ხშირად გლეხი უვიცობისა და უცოდინარობის გამო მთელ თავის ქონებაზე ხელ-ცარიელი რჩება. ერთმა პატარა სოფელმა დაჰკარგა მთელი თავის უძრავი ქონება, 10 ათას მანეთად ღირებული, მხოლოდ იმიტომ, რომ უწყების კითხვა არ იცოდა. ამ სოფელს წინანდელ მემამულისა ემართა 200 მანეთი და ამ ორას მანეთში ათი ათასად ღირებული მამული 640 მანეთად გაეყიდა.

თუ ასეა რუსეთში, სადაც ხალხმა რუსულად ლაპარაკი მაინც იცის, რა უნდა იყოს ჩვენში?

თეატრი

10 აპრილს ქართულ თეატრში გაიმართება საანტრეპრიზო წარმოდგენა. დრამატიულ დასის არტისტები წარმოადგენენ ორ პიესას: „პირიმზედ ბაჭს“ და „უბედურ დებიუტს“. დასასრულ გაიმართება საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი შუღკინისა, ბ ნნი ნიკოლაევი, ვილშაუ, პოლდოვკა, კესნერი და კარსაძე.

—

24 მარტს კრება ჰქონდა პეტერბურგში რუსს დრამატიულ მწერალთა და კომპოზიტორთა საზოგადოებას. როგორც ანგარიშიდან აღმოჩნდა, საავტორო ჰონორარი შარშან ამ საზოგადოებას მიუღია 244,341 მანეთი. ყველაზე მეტი— 200,00 მანეთი—რგებიათ ბ. ი. ჩაიკოვსკის მემკვიდრეებს.

ტფილისის სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური კრება

კრება მოხდა კვირას, 30 მარტს, უგანათ. თავ. მ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. პირველადვე კრება შეუდგა 1902 წლის მოქმედების ანგარიშის განხილვას. ანგარიშის შინაარსი დაახლოვებით უკვე გაცნობით მკითხველთ და ეხლა აღარ გავიმეორებთ. კრებამ, მცირე კამათის შემდეგ, შეუცვლელად დამტკიცა ანგარიში. შემდეგ წაკითხულ იქმნა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობის გაანგარიშებით, საზოგადოებას წელს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის დასჭირდება 20,200 მან. დირექტორმა თავ. გ. მიქელაძემ სთხოვა კრებას, ეხლავე ხნით გადაედვათ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება და ჯერ განეხილათ საზოგადოების წევრის ი. ქუთათელაძის მოხსენება, რადგან, მიქელაძის აზრით, თუ კრება მიიღებდა ქუთათელაძის მოხსენებას, საჭირო იქმ ხარჯთ-აღრიცხვის შეცვლა. კრებამ მიიღო ეს წინადადება და შეუდგა ბ-ნ ქუთათელაძის მოხსენების განხილვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე, რომ გამგეობა მეტის ყურადღებით ექცეოდეს წვრილ მწარმოებელ ამხანაგობებს და სამეურნეო ნაწარმოებების გაიაფთ სესხს აძლევდეს ხოლმე იმათ. ეს საკითხი რამდენიმე წელიწადია აღძრა საზოგადოებაში. 1901 წელს საზოგადო კრებამ განიხილა იგი და დაადგინა ასეთი სესხი მოთხოვნილებისამებრ ეძლეოდეთ მწარმოებელთ, ამასთან განსაკუთრებული კომისიაც ამოირჩია, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა ეს საკითხი უფრო ვრცლად და თავისი მოსაზრებანი კრებისათვის წარედგინა. კომისიას დღევანდლამდე არაფერი გაუკეთებია. ამავე საკითხის შესახებ ქუთათელაძეს 24 მარტს გამგეობისათვის მოხსენება წარუდგენია, სადაც მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში თამბაქოს, აბრეშუმის, ღვინისა და სხვათა წარმოება. ამასთან აღნიშნავს წვრილ ამხანაგობათა მდგომარეობას. რადგან ამ ამხანაგობებს უიმედოთ სჭირდებათ ფული, ქუთათელაძე ურჩევს საზოგადოებას მისწეოს სესხი იმათთვის. ქუთათელაძის აზრით, საჭიროა აღძრას საზოგადო კრებამ შუამდგომლობა საზოგადოების წესდების მე-34 მუხლის შეცვლის შესახებ, დაარსდეს სოფლებში საკრედიტო ამხანაგობანი, როგორც განყოფილებანი სამეურნეო ბანკისა და სხვ. გამგეობას განუხილავს ეს მოხსენება და უარ-უყვია. მოხსენებამ ხანგრძლივი და მწვავე კამათი გამოიწვია. კრებაზე გამოითქვა ორი აზრი. ერთნი წინადადების იყვნენ ქუთათელაძის აზრისა, მეორენი მოწინააღმდეგენი. კრებამ კამათის შესახებ დაადგინა აარჩიოს კომისია და იმას მიანდოს ამ საქმის განხილვა და შემუშავება. კომისიაში იქმნებიან გამგეობისა და საბჭოს წევრნი და შემდეგი პირნი: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, უგ. თავ. პ. ა. გრუზინსკი, ა. ი. კობიაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ტარიელოვი, ი. ქუთათელაძე, აბაზაძე და ამირაღოვი.

დასასრულ, კრებამ გამგეობის დირექტორად ამოირჩია ისევ გ. რ. ყიფიანი, საბჭოს დეპუტატებად: გ. მ. დადიანიშვილი, ნ. ხიზანაშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად: ე. თაყაიშვილი, გ. დ. ყურული და ი. გ. ბარათაშვილი; ამათ კანდიდატებად ი. ს. ადხაზიშვილი, გვამიჩავა და ბ. ქსაძე.

წერილი ოზურგეთიდან

ნოქრების მდგომარეობა.—სამკითხველოს წესდების შემუშავება.

არ იქნა, არ ეღირსა ოზურგეთის ნოქრებს ერთი-ორი საათის თავისუფლება კვირა-უქმე დღეებში. მოგეხსენებათ, შარშან ნოქრებმა მიჰმართეს ქალაქის მოურავს ცეცხლაძეს და სთხოვეს, კვირა-უქმეობით მაღაზიები დაკეტილიყო 9-დან 12 საათამდის, მაგრამ იმან ეს თხოვნა კანონიერად არ იცნო და უარი გამოუცხადა ნოქრებს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით. ამაზე საჩივარი გაჰგზავნეს სამხედრო გუბერნატორთან (სექტემბერი 1902 წ.). მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არ მოსულა. საჩივარის გაგზავნა და მაღაზიების დაკეტვა ერთი იყო. ორის თვის განმავლობაში ჰკეტავდნენ მაღაზიებს 9-დან 11-დის, მაგრამ ეს სამი თვეა, წინანდელ წესს მიჰყვეს ხელი. აი, მაგალითად, ეხლა კარებს მიჰხურავენ ხოლმე, იქვე ნოქარს დააყენებენ და ეუბნებიან, გაიდე საქონელი. ეს არის მაღაზიის დაკეტვა... ნოქარიც, რა თქმა უნდა, ემორჩილება ხაზეინის ბრძანებას. ასე ამ ნაირად მიდის ნოქრების საქმე, განუწყვეტლად მუშაობაში არიან კვირა-უქმე დღეებშიაც.

აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენი წიგნთ-საცავი-სამკითხველო დაკეტილია, როგორც შეგვიტყვია, დამტკიცებულ წესდების უქონლობისა გამო. დღემდის არავის ფიქრად არ მოუვიდა, იზრუნოს უდროოდ გარდაცვლილ სამკითხველოსთვის. დღეს კი ქალაქის მოურავს ცეცხლაძეს შეუმუშავებია წესდება და 14 ამა მარტს განუხილავს ეს წესდება რამდენსამე კაცს და მოუწონებია იგი. თხოვნაზე ხელი მოუწერია 20—25 კაცს და გაუგზავნიათ შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე დასამტკიცებლად. იმედი გვაქვს, დამტკიცებულ წესდებას ახლო მომავალში მივიღებთ.

დასჯილი.

დაბა-სოფლები

ჟანდაურა (გარეთ-კახეთი). 16 მარტს ამ სოფლის საზოგადოებამ განაჩენით დაადგინა, აქაური მცხოვრებნი ნ. ჯ—ილი და იმის შვილი დ. გადასახლებულ იქმნენ ციმბირში. სხვა ბოროტ-მოქმედებასთან ერთად იმათ ჰბრალდებოდათ მამასახლისის ივანე ჯავახიშვილის მოკვლაში მონაწილეობის მიღება იმათთან ერთად, რომელნიც დააპატიმრეს კიდეც. ესენი არიან ა. ბ—შვილი და მ. ჯ—შვილი. ეს უკანასკნელი ძმაა ნ. ჯ—შვილისა. ამ საქმის გამო მთელმა საზოგადოებამ ერთხმად დაადგინა განაჩენი. განაჩენში, სხვათა შორის, ნათქვამია: რადგან ეს პირები დიდად მავნებელნი არიან მთელის სოფლისათვის ცუდის ყოფაქცევით და რადგან იმათ წყალობით მოკლულ იქმნა პატიოსანი და მთელის სოფლისათვის დიდის სარგებლობის მომტანი მამასახლისი ივანე ჯავახიშვილი, ამისთვის ვითხოვთ, გადასახლებულ იქმნან ჩვენის სოფლიდანაო. 28 მარტს ბრალდებულნი დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს. საზოგადოებას აზრადა აქვს, უკვე თუ ეს პირები განდევნილ იქმნებიან სოფლიდან, განსვენებულის მამასახლისის გვამს ძეგლი დაადგას.

მ.

სასამართლო

I

მაღაზიიდან შალების მოპარვა.

ქერივი მართა იოსელიანისა და ევდოკია შევარდნაძე თანდოევის მაღაზიაში შესულან და უყიდნიათ ჩი-

თი. როდესაც მაღაზიიდან წასულან, ნოქრებს აბრეშუმის ოთხი შალი ველარ უპოვნიათ. გამოსდევნებიან იოსელიანისას და, როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, აბრეშუმის შალები იმის ტალმის ქვეშ უნახავთ. მოპარული ჩამოურთმევიათ და იოსელიანის ქვრივი პასუხის გებაში მიუციათ. სასამართლოში საქმის გამოძიების დროს ბრალდებულს უთქვამს: მართალია, მე ვიყიდე თანდოევის მაღაზიაში ჩითი შევარდნაძის ქალისათვის; მაგრამ როცა შინ დავბრუნდი, ვნახე, რომ რაღაც ნაირად გამომყოლოდა თანდოევის მაღაზიიდან აბრეშუმის შალები. მაშინვე დავბრუნდი მაღაზიაში ნივთების დასაბრუნებლად. თანდოევის ნოქრები გზაში შემხვდნენ და თუმცა მე თვით უბრუნებდი შალებს, იმათ ქურდობა დამწამეს და დამიჭირეს კიდეცა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია იოსელიანისა და გარდაუწყვეტია ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და საპყრობილეში სამის თვით დაპატიმრება. იოსელიანისას საქმე გადუტანი სამოსამართლო პალატაში, რომელმაც დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება.

II

ქურდობა

ამავე დღეს პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების სამსონ გვაზავასი, რომელსაც აგრეთვე ქურდობა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს ამას წინად განუხილავს ეს საქმე, დამნაშავედ უცვნია გვაზავა და გადაუწყვეტია ყოველისავე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $2\frac{1}{2}$ წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ეს განაჩენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 მარტი

მოსკოვი. საიმპერატორო მატარებელი დილის 10 საათსა და 50 წუთზე მოვიდა. უმაღლესის სურვილის თანახმად, დახვედრა არა ყოფილა. სადგურზე მათ უდიდებულესობათ დახვდნენ უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი მეუღლითურთ, დიდის მთავრის თანაშემწე და მოხელენი. ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი წაბრძანდნენ იბერიის ღვთის მშობლის ნიშში, სადაც ყოვლად-სამღვდელო პართენი ჯვრით დახვდა იმათ უდიდებულესობას. ემთხვივნენ ხატს და შემდეგ „ურა"-ს ძახილზე ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი კრემლის სასახლისკენ წაბრძანდნენ.

პარიზი. ალჟირის გუბერნატორმა რევუალმა სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა. მთავრობამ შეიწყნარა იმისი თხოვნა.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის საელჩოში პანაშვიდი გადაიხადეს შჩერბინას სულის მოსახსენებლად. კვირას სადიპლომატო კორპუსის თანადასწრებით გადაიხდიან წირვასა და პანაშვიდს.

პეკინი. გარდაიცვალა საფინანსო კონტროლის პრეზიდენტი იუნგ-ლუ.

ჰონკონგი. აფეთქდა კანტონის თოფხანის წამლის ქარხანა. დაიღუპა ათასს კაცზე მეტი.

ბერლინი. „კოლ. ცაიტ"-ს ატყობინებენ კარლსრუედან; „აქაურ ქარხანას ოსმალეთის მთავრობამ შეუკვეთა დიდ-ძალი თოფის ტყვიის დამზადება".

კონსტანტინეპოლი. უსკიუბის ვილაეტის კარადიოვის ოლქში გაჩნდა ბოლგარელ მეამბოხეთა რაზმი. სერესის სანჯაკში გაჩნდა მეორე რაზმი, 80 კაცისაგან შემდგარი. ნევროკოპის ოლქშიაც გაჩნდა 30 კაციანი რაზმი.

სოფია. მაკედონიაში ახალი რაზმები გაჩნდნენ.

პარიზი. რევუალის თანამდებობიდან გადადგომა არ შეჰცვლის ლუბეს მგზავრობას. რევუალის თანამდებობას დროებით შეასრულებს მთავარი მდივანი ვარნიე. ახალ გუბერნატორს დანიშნავენ პრეზიდენტის მგზავრობის შემდეგ.

30 მარტი.

სან-დომინგო. მოვიდა საელჩოების დასაცველად ორი გემი—გერმანიის კრეისერი „ვინეტა" და იტალიის ხომალდი. ელიან ჰოლანდიისა და ინგლისის სამხედრო გემებს, ქალაქში შიშიანობაა.

ჰააგა. პირველმა პალატამ ერთხმად მიიღო კანონ-პროექტი გაფიცვის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი. ვილემსტადტიდან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ მთავრობის ჯარმა კარაკასის მახლობლად დაამარცხა მეამბოხენი, წაართვა იმათ ორი ზარბაზანი, აიღო ქალაქი ბარკიზიმეტო და დაატყვევა ბევრი მეომარი.

ათინა. დილას მოვიდნენ გერმანიის კრონპრინცი და პრინცი ეიტელ-ფრიდრიხი. დახვდნენ მეფე, მეფის ძე ნიკოლოზი, გარეშე საქმეთა მინისტრი და გერმანიის ელჩი, პირველ საათზე სასახლეში საუზმე გამართეს.

სოფია. სამხედრო მინისტრი კიუსტენდილში წავიდა საზღვარზე მყოფ ჯარის დასათვალიერებლად. განკარგულება მოახდინეს, საზღვარზე ზოგიერთ ადგილას ჯარი გაძლიერებულ იქმნას. საერო კრების სესსია ორშაბათს დამთავრდება.

ბელგრადი. დღეს საკათედრო ტაძარში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი შჩერბინას სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ მეფის წარმომადგენელი, მინისტრები, გენერლები, რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩები და ხალხი. მიტროპოლიტმა ინოკენტიმ სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა სერბიის საქმისთვის მოკლულ ელჩის ღვაწლი. წირვის დროს მაღაზიები დაკეტეს და ქალაქი სამგლოვიაროდ შეიმოსა.

კონსტანტინეპოლი. მთავარი ინსპექტორი ხილმი-ფაშა იუწყება: სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, ვითომ ალბანელნი ხელ-ახლა შეიკრიბნენ მიტროვიცთან და ემზადებიან თავს დასასხმელადო. ალბანელთა საწინააღმდეგოდ, თუ საჭირო იქმნება, ბერისოვიჩში 20 ბატალიონია, იპეკშია—8 და მიტროვიცში—8. 100 კაცისაგან შემდგარი რაზმი ბოლგარიიდან მაკედონიას შეესია და სერბიის სანჯაკთან მივიდა.

ხილმი-ფაშა იუწყება, რომ ამას წინად ორხიდის ოლქში მომხდარი ამბები გაზვიადებულად არის გადაცემული. გამოირკვა, რომ ერთის რაზმის წინამძღოლი დავიდოვი მართლაც მოუკლავთ.

პეტერბურგი. „პრავ. ვესტ."-ის მე-72 ნომერში დაბეჭდილია დაწვრილებით ცნობები იმ უწესოების შესახებ, რომელიც მოხდა პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტსა და პეტერბურგის უნივერსიტეტში.

31 მარტი

მოსკოვი. მათ უდიდებულესობათ მიძინების სობოროდან გამოსვლა $10\frac{1}{2}$ საათზე დაიწყეს; კარის კაცთ მოჰყვებოდნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დიდი მთავრის ოლღა ნიკოლოზის ასულითურთ, შემდეგ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული და დიდი მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის შვილები. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ქალაქის წარმომადგენლებთ მიუახლოვდნენ, მოისმინეს ქალაქის თავის სალამი, რომელმაც პურმარილი მიართვა მშვენიერ ხონჩით. მათ უდიდებულესობათ პურ-მარილი სხვა საზოგადოებათაგანაც მიიღეს და გამოვიდნენ დერეფანში, საიდანაც მიძინების სობოროში წავიდნენ ხალხის „ურა"-ს ძახილზე; იქ დახვდათ მოსკოვის მიტროპოლიტი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა. წირვის მოსმენის შემდეგ მათი უდიდებულესობანი ემთხვივნენ წმინდანთა ნაშთს. ნახეს „ჩუდოვ" მონასტერი და შემდეგ დიდ კრემლის სასახლეში წავიდნენ.

ბლაგოვეშჩენსკი. საშუალებებს ხმარობენ აქ ხოლერის შემოტანის წინააღმდეგ. ქალაქს და მის მიდამოს სუფთათ სწმენდენ. თბილი ამინდია.

ლონდონი. წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ლორდ კრომერი აცხადებს, რომ სუაკიმ—ბერბერის რკინის გზის გაყვანა აუცილებლად საჭიროა სუდანის განვითარებისათვის. სუდანიდან უგანდაზე და შემდეგ აბისინიაზე სამხრეთისაკენ გაყვანის საჭიროება კი არ არის დამტკიცებული.

ბერლინი. როგორც „ფრანკფ. ცაიტ."-ს სოფიიდან ატყობინებენ, მმართველობა განაგრძობს თავის მოქმედებას საზღვრის დასაცავად. მაგრამ მობილიზაციას განაგრძობენ.

ბუხარესტი. პრინც კაროლს წითელა შეჰხვდა.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა, პორტამ და სადიპლომატო კორპუსმა თანაგრძნობა გამოუცხადეს რუსეთის ელჩს კონსულ შჩერბინას სიკვდილის გამო.

მოსკოვი. 30 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა ქალაქის თავს მისალმებაზე შემდეგი პასუხი მისცა: „იმპერატრიცა და მე დიდი მადლობელნი ვართ თქვენგნით გამოთქმულ გრძნობისათვის და ჩვენი გულითადის მიღებისათვის. ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, ვნებისას და აღდგომის კვირას ჩვენ ძვირფას მოსკოვში გავატარებთ. კიდევ მადლობას გიძღვნით სიხარულით დახვედრისათვის და პურ-მარილისათვის".

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 მარტს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$98\frac{3}{8}$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	101 „
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$100\frac{1}{4}$ მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	$95\frac{3}{8}$ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$338\frac{1}{2}$ „
5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ. მამ. ბანკისა	297 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$90\frac{3}{8}$ „
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$83\frac{1}{4}$ „
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც.	$91\frac{1}{2}$ „
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	87 „
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	201 „

მიმოვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე: საღამოს 11 ს. 28 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 48 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს, 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს 28 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულბეიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ბახმაროს (ოზურგეთის მაზრა) მოაგარაკეთა საზოგადოების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მათი თანდასწრებით ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში 15 აპრილს 1903 წ. 12 სათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** რომლით გაიცემა იჯარით ამა წლის სეზონისათვის ბახმაროში საზოგადო დუქანი და ფურნე, სასადილო სახლი და საყასბო. ვაჭრობა იქმნება გადაწყვეტილი გაუმეორებლად. ყოველივე პირობა მსურველთ შეუძლიათ ინახულონ ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობის კანცელარიაში. მსურველთ შეუძლიათ ივაჭრონ ყველა საგანზე ერთად, ანუ თითოეულზე ცალკ-ცალკე ე. ი. სანოვაგის სავაჭრო დუქანი და ფურნე ერთად, სასადილო სახლი ცალკე და საყასბო ცალკე. (3—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—14)

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად **ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.**

ადრესი: უბრალო წერილებისთვის—**ხკრა** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში,** ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (10—9)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. მეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 31 марта, 1903 г.   ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.   (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)